„შვიდკაცა“ 60 წლისაა

ოზურგეთში მოქმედი საყოველთაოდ ცნობილი სახალხო ანსამბლი „შვიდკაცა“ 60 წლისაა! „შვიდკაცა“ 1957 წელს დაარსა ცნობილმა მომღერალმა, მოკრიმანჭულემ და დიდმა ხელოვანმა, ბატონმა მიხეილ შავიშვილმა. ბატონმა მიხეილმა შეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და შექმნა ნამდვილად შესანიშნავი ანსამბლი, რომელსაც დიდი წარმატებები ხვდა როგორც საქართველოში, ისე მაშინდელ მთელ საბჭოთა კავშირში და უცხოეთში.

ანსამბლმა ოთხგზის განიცადა ცვლილება. მისი პირველი შემადგენლობა ასეთი იყო: ამირან ბაბილოძე, ვალერიან ქავთარაძე, აკაკი ბეშიტაიშვილი, ანტონ თავამაიშვილი, გური ურუშაძე, ვაჟა რუსიეშვილი, ნოდარ ქარცივაძე და ხელმძღვანელი — მიხეილ შავიშვილი. შემდეგ დაემატნენ ზაურ ბოლქვაძე, ალექსანდრე გოგავა და თეიმურაზ ქილიფთარი. აი, ამ ხალხმა გაუთქვა მაშინ სახელი ანსამბლს და შეაყვარა თავი მსმენელებს.

ანსამბლის პოპულარობამ

გვ-5

ვაკანსია

„სს „საქართველოს ბანკი“ აცხადებს ვაკანსიას **პრობლემური სესხების მენეჯერის** თანამდებობაზე - ოზურგეთში. ვაკანსიის დეტალური აღწერა გთხოვთ იხილოთ ვებგვერდზე **jobs-.bog.ge** დაინტერესებულ კანდიდატებს, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი რეზიუმე (CV) ელ. ფოსტის მისამართზე **Salesjobs@bog.ge** ან დატოვოთ შესაბამისი რეგიონის სერვის ცენტრში. გისურვებთ წარმატებას!“

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 26 (10220, 3 ივლისი, 2017 წ. ფასი 50 თეთრი.

კურორტ გომის მთაზე ოფროუდში ექსტრემალური შეჯიბრი მეორედ ჩატარდა

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურისა და აჭარის ოფროუდის ფედერაციის ორგანიზებით გომის მთაზე ოფროუდში ექსტრემალური შეჯიბრი ჩატარდა.

შავი ზღვის სანაპიროზე მაღალი გამავლობის ავტომობილებით ოფროუდერებმა საჩვენებელი შეჯიბრი მოაწყვეს, საიდანაც კურორტ გომის მთაზე გაემგზავრნენ. შეჯიბრში მონაწილეობდნენ: აჭარის, იმერეთის და თბილისის "off-road" კლუბის წევრები.

25 ივნისს, 5-საათიანი რბოლის შემდეგ გამოვლინდა გამარჯვებული ოფროუდერები, რომლებსაც სპეციალური სიგელები და თასები გადასცეს.

— პროექტი „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამთო და საზღვაო კურორტების პოპულარიზაციას ითვალისწინებს, რომლის ფარგლებშიც არაერთი საინტერესო ღონისძიება იმართება. გომის მთაზე უკვე მეორედ მოეწყო ჯიპ-ტური, რამაც დიდი დაინტერესება გამოიწვია და პროექტის მასშტაბურობაც გაზარდა. დღეს ქვეყნის ყველაზე ექსტრემალმა ოფროუდერებმა ძალიან აზარტული სანახაობა ვიჩვენეს. სასიხარულოა, რომ ამას ბევრი უცხოელი და ადგილობრივი ტურისტი ხედავს, რაც მეტად გაზრდის კურორტის ცნობადობას მთელს რეგიონში“, - აღნიშნა ჟურნალისტებთან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

აჭარის ოფროუდის ფედერაციამ ჩემპიონატის ორგანიზებისა და მხარდაჭერისთვის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მერაბ ჭანუყვაძეს და კულტურის, სპორტისა დატურიზმის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელს - ნატალია ხომერიკს მადლობის სიგელები გადასცა. შეჯიბრს არაერთი ტურისტული ჯგუფი და სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ასეულობით ადამიანი დაესწრო.

მორიგი ცვლილებები „ქართული ოცნების“ სიაში

ალიონი. 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სავარაუდო კანდიდატთა სიაში მორიგი ცვლილებები დაბა ლაითურსა და დაბა ნარუჯას შეეხება.

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებში დაბა ლაითურში „ქართულმა ოცნების“ კანდიდატმა, **რესან გაბაიძემ** გაიმარჯვა. რესანი საკრებულოს, ასევე მუნიციპალიტეტებთან არსებული გენდერულ-საკონსულტაციო საბჭოს აქტიური წევრია. ასეთივე ავტორიტეტით სარგებლობს ნარუჯელთა რჩეული **გურამ კოჩალიძე.**

„ქართული ოცნება“ წლევანდელ არჩევნებში მათ ჩანაცვლებას და ძველი სახეების დაბრუნებას აპირებს. მათი კანდიდატია დაბა ლაითურში გია **(გიორგი) ჩაგანავა,** ხოლო დაბა ნარუჯაში — **ვალოდია ბერიძე.**

არის თუ არა ჩაგანავა და ბერიძე საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატები, აღნიშნული „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე დავით დარჩიას არ უარყვია.

პირად საუბრებში სავარაუდოდ თავიანთი კანდიდატობის შესახებ გია ჩაგანავამ და ვალოდია ბერიძემ დაგვიდასტურეს —მე წლების განმავლობაში ვიყავი დაბის რწმუნებული, საკრებულოს დეპუტატი. დაბის მცხოვრებლებთან კარგი ურთიერთობა მაქვს და რამდენიმე პროექტის განხორციელებაშიც შევიტანე ჩემი წვლილი. თანამდებობაზე მოქალაქეთა კავშირის დროსაც ვიყავი. მოვიდა ახალი ხელისუფლება და მათაც მიმიღეს. არ გამკვირვებია, ბევრი კარგი საქმის გაკეთება მაქვს გეგმაში დაბისათვის —გვითხრა პირად საუბარში ვალოდია ბერიძემ.

რაც შეეხება ჩაგანავას, ივი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამჟამად ივი თემების მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსია.

8-და 5 საკითხი სხვადასხვა ცვლილებებს დაეთმო

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 ივნისის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი 8 საკითხიდან 5 საკითხი სხვადასხვა ცვლილებებს დაეთმო.

მორიგი ცვლილებაა საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის №24 დადგენილების შესაბამისად დამტკიცებულ ბიუჯეტში.

როგორც სხდომაზე ითქვა, საჭიროა დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებით გამოიყო 1 758,5 ათასი ლარი. აღნიშნულ განკარგულებაში შევიდა ცვლილება 2017 წლის 22 ივნისს №1280 განკარგულებით.

შემცირდა ბიუჯეტის შემოსავლები:

— სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი — 144,5 ათასი ლარით (გრანტების მუხლი).

შემცირდა ბიუჯეტის ხარჯები:

— პროგრამული კოდი 0301 — საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია —144,5 ათასი ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

განხორციელდა შიდა მუხლობრივი ცვლილება: პროგრამული კოდი 05 02 02 02 — ა(ა)იპ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა“, სუბსიდია — შემცირდა 3,5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

8-და 5 საკითხი სხვადასხვა ცვლილებებს დაეთმო

ზრდა გაიზარდა 3,5 ათასი ლარით (ბიბლიოთეკისათვის წიგნების შესაძენად)

გაიზარდა ბიუჯეტის შემოსავლები:

– ინფრასტეუქტურის განვითარებისა და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 50,0 ათასი ლარით (გრანტების მუხლი). საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის № 588 განკარგულებით „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“ ფარგლებში თვითმმართველ ქალაქ ოზურგეთს გამოეყო 50 ათასი ლარი, კერძოდ, 463 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად მუშახელის შრომის ანაზღაურებისათვის 46,3 ათასი ლარი, ხოლო საწვავის შესყიდვისათვის – 3,7 ათასი ლარი.

გაიზარდა ბიუჯეტის ხარჯები:

– პროგრამული კოდი 03 02 03 – კომუნალური მომსახურების ცენტრი – 50,0 ატასი ლარით (სუბსიდია)

ცვლილება შეიტანეს: „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის №5 განკარგულებაში; „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 19 სექტემბრის №61 დადგენილებაში; „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა დაა საკრებულოს აპარატის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №38 დადგენილებაში; „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №39 დადგენილებაში.

სხდომაზე დაამტკიცეს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლების (სასწავლო სვლა) გზების სია. ცვლილებები შეიტანეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ საკრებულოს 2015 წლის 19 სექტემბრის №61 განკარგულებაში.

მხარი დაუჭირეს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულებების მიღებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში მორიგი ცვლილებებია

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 29 ივნისის რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

როგორც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა გია მამაკაიშვილმა აღნიშნა:

1.შემცირდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) 742 913 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №1280 განკარგულებით, ცვლილება შევიდა 2017 წლის 14 მარტის №480 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“. შემცირდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი ტრანსფერი 742 913 ლარით. მათ შორის:

– პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოყოფილი თანხა 714 913 ლარი;

2. გაიზარდა შემოსავლების ნაწილში ტრანსფერები (კაპ. ტრანსფერი) 18 036 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №1280 განკარგულებით, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 10 036 ლარი.

3. გაიზარდა საკუთარი შემოსავლების ნაწილში ქონების გადასახადი 67 250 ლარით.

– საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 67 250 ლარით (ორგანიზაციული კოდი 113111).

შესაბამისად შემცირდა საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, არასაცხოვრებელი შენობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 - 61.1.1.2.) – 77 032 ლარით;

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში. საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები (ორგანიზაციული კოდი 03 04 04 - 61.1.1.8) – 21 557 ლარით.

შესაბამისად გაიზარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციაში:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები, სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 - 2.2.10.14) – 18 036 ლარით;

– გზების რეაბილიტაცია, არაფინანსური აქტივების ზრდა, გზები (ორგანიზაციული კოდი 03 01 01 - 61.1.1.5) –67 250 ლარით.

შემცირდა:

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები არაფინანსური აქტივების ზრდის ნაწილში, სხვა შენობა-ნაგებობები (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 - 61.1.1.11) –252 393 ლარით

– ინფრასტრუქტურის სამუშაოები სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი (ორგანიზაციული კოდი 03 02 04 - 2.2.10.14) – 252 393 ლარით.

სულ შემცირდა 657 627 ლარით.

საშტატო ნუსხა დაამტკიცეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „პროფესიული საჯარო მოხელეების“ თანამდებობათა დასახელებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29 ივნისის რიგგარეშე სხდომამ განიხილა და დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის საშტატო ნუსხები.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ასევე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელმთისა და მაკვანეთის ადმინისტრაციული ერთეულის შემაერთებელი გზის რეაბილიტაციის პროექტის მოწონების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღებას.

ამავე სხდომაზე საკრებულომ მიიღო განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სახელმწიფომ 69 ეკომიგრანტი ოჯახისთვის სახლები შეისყიდა



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ კერძო სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით გურიის რეგიონში მცხოვრები 69 ეკომიგრანტი ოჯახისთვის შეისყიდა.

დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ და ქალაქ ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის გადაცემული სახლები დაათვალიერეს.

განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ კერძო სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სოფელ ნაგომარში ასლან ვაშაყმაძის ექვსსულიან ოჯახს შეუძინა. ვაშაყმაძეები მანამდე სოფელ ქვაბღაში, მეწყრისგან დაზიანებულ სახლში ცხოვრობდნენ.

ეკომიგრანტი ოჯახი თავად არჩევს კერძო სახლს მიწის ნაკვეთით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში. სახლებს თან ახლავს მიწის ნაკვეთები, რაც ეკომიგრანტი ოჯახებისთვის შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენს.

2013 წლიდან დღემდე, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ, საქართველოს მასშტაბით, სახლი უკვე 400-მდე სტიქიით დაზარალებულ ოჯახს შეუსყიდა.

ოპოზიცია

ლევან მგელაძე: „მე რომ ვყოფილიყავი საკრებულოს თავმჯდომარე და წამყვანი თანამდებობები სჭეროდათ სხვადასხვა ოპოზიციის წარმომადგენლებს, ქალაქში ასეთი სიტუაცია ნამდვილად არ იქნებოდა“

მაჟორიტარი დეპუტატის სტატუსით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოხვდა 2014 წლის ივლისში გამართულ თვითმმართველობის არჩევნებში მოიდანახეს საარჩევნო ოლქის სამივე საარჩევნო უბანში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ამავე წლის წლის აგვისტოში შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ჩვენ მიერ გამოკითხული რესპოდენტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არის ყველაზე აქტიური, ამავე დროს, ყველაზე დაბალანსებული დეპუტატი ოპოზიციიდან.

უცვლელი სლოგანით „ღირსეული ოზურგეთი“ და ახალი საარჩევნო პროგრამით აპირებს წლევანდელი ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნებში, ხსენებულ საარჩევნო ოლქში კვლავ იყაროს კენჭი მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

აცხადებს, რომ თვითმმართველობაში ახლახან გატარებული სტრუქტურული ცვლილებები იყო ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა რეფორმა, რადგან თვითმმართველ ქალაქებში ჩატარებულ ბოლო არჩევნებში ხელისუფლებას არ ჰქონდა სახარბიელო შედეგები და დიდი ალბათობით, ეს ტენდენცია უფრო იჩენდა თავს მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებში...

„ალიონის“ სტუმარია ლევან მგელაძე.

განათლება – უმაღლესი;

სპეციალობა – მშენებელი ინჟინერი;

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ წევრი;

პარტიულობა - უპარტიო;

ოჯახური მდგომარეობა – დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი;

პოლიტიკაშია 1990 წლიდან.

– ბატონო ლევან, ცოტაც და ამოიწურება, თქვენი, როგორც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის, უფლებამოსილების ვადა. „ღირსეული ოზურგეთი“ – ასეთი იყო თქვენი საარჩევნო სლოგანი. რამდენად გაართვით თავი ღირსების საქმეს, რა შეძელით, რა ვერ შეძელით?

– ჩემი სლოგანი „ღირსეული ოზურგეთი“ დღესაც უცვლელია და ძალაში რჩება, რადგან ვაპირებ, მოიდანახეს საარჩევნო ოლქში კვლავ ვიყარო კენჭი, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რასაკვირველია, ახალი საარჩევნო პროგრამით. რამდენად ღირსეულად გავართვი თავი ღირსეული ოზურგეთისთვის ბრძოლას, ამას საზოგადოება ხედავდა და ხედავს საინფორმაციო საშუალებებით. პირადად მე მაქვს უკმაყოფილების გრძნობა, მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

– და რა გიშლიდათ ხელს?

–ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ჩემი თანამოაზრეები საკრებულოში ძალიან ცოტა იყვნენ. არ ვიცი, რატომ და რისთვის, მაგრამ რასაც ვითხოვდით, რასაც ვთხოვდით აღმასრულებელ ხელისუფლებას თუ საკრებულოს, ფაქტობრივად ხდებოდა ყველა წინადადების იგნორირება. არ ვიცი, არ ვიცი...

თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ როგორც ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ისე სოციალურ საკითხებში, პირდაპირ თუ ირიბად, მაინც მივაღწიეთ ჩვენს მიზანს ოზურგეთის საკეთილდღეოდ. ჩემი აზრით, ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში, საკრებულოსთან და აღმასრულებელ ორგანოსთან მიმართებებში ასეთი დამოკიდებულება რომ არ გვქონოდა, ალბათ, უფრო ცუდი შედეგები დაფიქსირდებოდა ქალაქის მერიის საქმიანობაში.

– მაინც რა საკითხები იყო ასეთი? ხომ ბიუჯეტის მიხედვით ხორციელდებოდა ყველაფერი?

– პირველ აქცენტს ყოველთვის სწორედ ბიუჯეტთან დაკავშირებით ვაკეთებდით. ფაქტობრივად, სამი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის არც ერთი ბიუჯეტისთვის არ დაგვიჭერია მხარი იმის გამო, რომ ისინი არ იყო, ვთქვათ, პროგრამული და არ იყო წესიერად გაწერილი და გათვლილი. დაუკონკრეტებელი გახლდათ ის საჭიროებები და პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელებულიყო წლის განმავლობაში. იყო ზოგადი მოცემულობა, რაშიც ნებისმიერ დროს ლავირების საშუალება ეძლეოდა ხელისუფლებას, რაც ნამდვილად მიუღებელია პროგრამული ბიუჯეტისთვის.

– ბატონო ლევან, საკრებულოს თითქმის ყველა სხდომაზე რატომ იყო თქვენი დავის საგანი ქონების გასხვისების საკითხი?

– ყველა ის პრობლემა, რაც ქონების გასხვისებას ეხებოდა, მაგალითად, პირდაპირი განკარგვის წესი, რასაც ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდით, წამგებიანი იყო, პირველ რიგში, ბიუჯეტისთვის, არაკონკურენტუნარიანი – ბიზნესისთვის. ფაქტობრივად, ძალიან მიზერულ ფასში გაიცემოდა მიწები. კი, ბატონო, ეს იყო არენდით, მაგრამ ეს არენდები იყო მეტისმეტად ხანგრძლივვადიანი, 40-50-55-წლიანი. ეს იყო ფაქტობრივად საჩუქარი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც უკონკურენციოდ იღებდნენ ამ მიწის ფართობებს მათზე შენობების აგების უფლებით.

აქვე ვიტყვი, რომ ჩემთვის მისაღები იყო და ყოველთვის მხარს ვუჭერდი ქონების გასხვისებას აუქციონის წესით იმიტომ, რომ ეს ნორმალური ფორმაა ქონების გასხვისებისა.

ასევე პრობლემა იყო ის, რომ ქალაქში ბევრი ისეთი შენობა აშენდა და ბევრს ისეთი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რაც მიუღებელი იყო ჩვენთვის და ჩვენი ქალაქისთვის.

– საკრებულოს ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე თქვენ წარმოადგინეთ ქალაქის ტერიტორიაზე მდინარეებიდან ინერტული მასალების გატანის ფაქტები. მახსოვს, სხდომაზე რაღაც ღონისძიებებიც დაისახა. ეს იყო დაახლოებით ერთი თვის წინ. მიაღწიეთ რაიმეს?

– ჩვენს ტერიტორიაზე არსებული მდინარეებიდან ინერტული მასალების მასობრივად გატანა გამოიწვევს ეკოლოგიურ კატასტროფას არა მხოლოდ ჩვენს ქალაქში, არამედ მთელ რეგიონში.

ჩვენმა ფრაქციამ და ქონებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიამ დაგზავნა წერილები შესაბამის უწყებებში, საიდანაც უნდა მოეწერათ პასუხი, უკვე გავიდა გონივრული ვადა, რაც აუცილებელია პასუხის მოსაცემად. მოვიდა მხოლოდ შუალედური წერილი, რომელიც არაფრის მთქმელია. კიდევ ველოდებით და თუ უპასუხოდ დავრჩით, მაშინ სხვა გზებს მივმართავთ და კანონის ფარგლებში მოვითხოვთ ყველაფერს.

ეს არ არის პიროვნული ურთიერთობა, ეს არის ბუნებრივი რესურსის არამიზნობრივი, არასწორი, შესაძლებელია დანაშაულებრივი გამოყენებაც, რაც დიდ ზიანს მიაყენებს ეკოლოგიას. ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გადაწყდეს ეს საკითხი და საამისოდ ერთად უნდა ვიმუშაოთ ხელისუფლებამ და ოპოზიციის წარმომადგენლებმა.

– დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ, ძალიან დიდი. ამ საქმეში იმდენი თავი ტრიალებს, არა მგონია, უცებ დადგეს სასურველი შედეგი. დარწმუნებული ვარ, ამ საკითხზე ჩვენ ხშირად შევხვდებით ერთმანეთს.

ბატონო ლევან, წელან მითხარით, რომ თქვენი მუშაობით არ ხართ მთლად კმაყოფილი. მეტის გაკეთებაც შეიძლებოდაო, თქვით და... მომეჩვენა, თუ ბოლომდე არ დააკონკრეტეთ სათქმელი – რა იყო სხვა ხელშემშლელი ფაქტორები?

– იცით, რა? არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო პარტია უმცირესობაში აღმოჩნდა, ჩვენ კი – უმრავლესობაში, ზუსტად ასე იყო და ვერ შევინარჩუნეთ ეს უმრავლესობა. იყო საუბარი ჩემი საკრებულოს თავმჯდომარეობაზეც, სხვადასხვა წამყვან თანამდებობებზე ოპოზიციის წევრების დანიშვნაზეც... პირდაპირ ვიტყვი: მე რომ ვყოფილიყავი საკრებულოს თავმჯდომარე და წამყვანი თანამდებობები სჭეროდათ სხვადასხვა ოპოზიციის წარმომადგენლებს, ასეთი სიტუაცია, რაც დღეს ჩვენს ქალაქშია, ნამდვილად არ იქნებოდა. ესაა ის უკმარისობა, რასაც ჩვენ ყოველთვის ვაპროტესტებდით.

– რა სიტუაციაზე საუბრობთ, რა გაქვთ მხედველობაში?

– არამიზნობრივად გაცემული მიწის ნაკვეთები; უსახური შენობა-ნაგებობების მოწყობა ქალაქის ცენტრში; 9 აპრილის პარკის გაჭრა და გზის მოწყობა, რომლის აუცილებლობა არ იყო, არ სჭირდებოდა ქალაქს, მაგრამ მაინც მოხდა რაღაც მიზეზების გამო; სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მაგალითად, ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის გამყოფის მოწყობა, რამაც გამოიწვია მოძრაობის შეფერხება; გზაჯვარედინების გაუქმება და უფრო მეტი ამკრძალავი ნიშნების მოწყობა, რომელიც არ იყო საჭირო და არ იყო ამის აუცილებლობა...

– ბატონო ლევან, გულახდილად მითხარით, თუ იყო რაიმე ისეთი პროექტი, რომელიც მოგეწონათ და რომელსაც მხარი დაუჭირეთ?

– რა თქმა უნდა, იყო ასეთი პროექტებიც, რომელსაც მხარი დავუჭირეთ

– ინფრასტრუქტურულ პროექტებსაც?

– ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობას, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. იყო, მაგალითად, პროექტი სესხის აღებაზე, რომ კომუნალური მომსახურების ცენტრისთვის, დასუფთავების სამსახურისთვის შეგვეძინა ავტომანქანები, სოციალური პაკეტების შემოღებასაც დავუჭირეთ მხარი, ერთ-ერთ პროგრამას არ დავეთანხმეთ, მაგრამ უმრავლესობა მისაღები იყო.

– როგორც თვითმმართველობაში პრაქტიკულად ჩართულ პოლიტიკოსს, გეკითხებით, რა არის დღევანდელი თვითმმართველობის დადებითი და უარყოფითი მხარეები?

– ჩემი აზრით, მუნიციპალიტეტის ორად გაყოფა, ანუ ქალაქისა და თემების მუნიციპალიტეტების შექმნა, ხელისუფლებისთვის წარმატებულ რეფორმად უნდა ჩაითვალოს, იქედან გამომდიარე, რომ დემოკრატიის საფუძველი არის მეტი თვითმმართველობა. შეიძლებოდა თემების მუნიციპალიტეტის კიდევ რამდენიმე მუნიციპალიტეტად დაყოფა, რაც ხელს შეუწყობდა საკითხების გადაწყვეტაში საზოფადოების ჩართულობას, ტერიტორიულ ერთეულებში მცხოვრებ მოქალაქეთა პრობლემების უკეთ მოგვარებას.

მაგრამ ხელისუფლებამ მიიჩნია და თვითონ აღიარა, რომ ჩვენთვის მისაღები ეს ფორმა მისთვის მიუღებელი ყოფილა თურმე და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოგვიგზავნა წერილი, სადაც ჩამოთვლილი იყო ის „ნაკლოვანებები“, რომლებიც გამოვლენილა ამ რეფორმის გამო.

მე ამ ყველა საკითხთან დაკავშირებით მაქვს საკმაოდ მყარი კონტრარგუმენტები. ინფრასტრუქტურის სამინისტროს იმ წერილში ჩამოთვლილი არც ერთი „ნაკლოვანება“ ჩვენს მუნიციპალიტეტში არ მომხდარა. მივიჩნევ, ვთქვათ, მართვაში, მენეჯმენტში იყო შეცდომები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იყო საზოგადოების ჩართულობა, არ იყო შემოსავლების ზრდა. გეტყვით, რომ მარტო ამ სამი წლის განმავლობაში 5 პეტიცია შემოვიდა საზოგადოებიდან, იყო შეგროვებული ხელწერები სხვადასხვა საკითხებზე. თითქმის ყველა საკითხზე მოეწყო სახალხო განხილვები, როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან, რაც ფაქტობრივად ყველანაირად ქმნიდა ფონს, ქალაქისა და მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებში მაქსიმალურად ყოფილიყო ჩართული საზოგადოება.

რაც შეეხება შემოსავლებს, იგი ყველა წელს და ყველა კვარტლის ბოლოს წარმოდგენილ ანგარიშებში გაზრდილია, შეგიძლიათ ნახოთ ბიუჯეტის შესრულების გეგმები. ვერ ვიტყვი, რომ გააორმაგებულია, გასამმაგებულია, მაგრამ მატება ნამდვილად არის. და ეს იყო საფუძველი იმისა, მომდევნო ეტაპებზე კიდევ უფრო გაიზრდებოდა და გადიდდებოდა.

როგორც გითხარით, შესაძლებელია მენეჯმენტი, არ იყო ბოლომდე სრულყოფილი, მაგრამ შეიძლებოდა მისი შეცვლა. მოკლედ, მუნიციპალიტეტების ცალ-ცალკე არსებობა უფრო მისაღები იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მაგრამ... ვიტყვი პირდაპირ: რაც მოხდა, ეს არ არის რეფორმა, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, გამომდინარე იქედან, რომ წინა არჩევნებში თვითმმართველ ქალაქებში ხელისუფლებას არ ჰქონდა სახარბიელო შედეგები და დიდი ალბათობით ეს ტენდენცია უფრო იჩენდა თავს მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებში, რომელიც ოქტომბერში გაიმართება.

ესაუბრა

თემურ მარშანიშვილი.

მდგრადი ტურიზმის განვითარება გურიაში

გურიის რეგიონში მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში, გაფართოებული შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის საკითხები გურიის რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამა წლის სექტემბრის თვეში, გურიაში, პროფესორ ჰარალდ ფეჰლანერის ხელმძღვანელობით ჩამოვა 18 მაგისტრატურის სტუდენტი ინგოლშტადტის ტურიზმის ინსტიტუტიდან, რომლებიც სადიპლომო ნაშრომის ფარგლებში ადგილზე განახორციელებენ რეგიონში შეუსწავლელი ტურისტული ადგილების პოტენციალის პირველად კვლევას მუნიციპალიტეტებში.

აღნიშნული კვლევის შედეგები ღირებული იქნება რეგიონის მდგრადი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისთვის. შეხვედრაზე, ასევე, გადაწყდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს სპეციალისტებთან და გურიის რეგიონის გუბერნიის თანამშრომლებთან ერთად სამუშაო ჯგუფის შექმნა.

შეხვედრას ესწრებოდნენ გურიის გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი, ტურიზმის სამეცნიერო ექსპერტების საერთაშორისო ასოციაცია **AIEST**-ის პრეზიდენტი პროფესორი ჰარალდ ფეჰლანერი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი მანანა ვარძელაშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ლეილა თუმანიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და მუზეუმების მართვის და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი დავით ჭეიშვილი, მდგრადი ტურიზმის განვითარების კონსულტანტი, ბრენდორ ქონსალტინგი მაკა აფხაზავა და ტურიზმის მარკეტინგის სფეროში მომუშავე საკონსულტაციო კომპანია **BRANDOR Consulting**-ის პარტნიორი გაგა გოგიჩაიშვილი.

აღსანიშნავია, რომ პროფესორ ფეჰლანერის თაოსნობით განხორციელებულია ტურიზმის, რეგიონალური განვითარებისა და მართვის უამრავი სამეცნიერო კვლევა წამყვანი კვლევითი ცენტრის - ურაც **Research**-ის (**www.e-urac.edu**), ინგოლშტადტის უნივერსიტეტისა (**www. ku.de**) და მსოფლიოში ტურიზმის ექსპერტების პირველი სამეცნიერო ასოციაციის (**www.aiest.org**) ფარგლებში

კურორტ გომისმთაზე წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა მიმდინარეობს

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კურორტ გომისმთაზე, ზღვის დონიდან 2200-2500 მეტრ სიმაღლეზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა დაიწყო. სამშენებლო სამუშაოებს შპს „**NDC** მშენებლობა“ (დირექტორი ზურაბ გუგეშაშვილი) აწარმოებს. 25 ივნისს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიასთან ერთად მშენებლობა მოვინახულეთ და მშენებლებს ვესაუბრეთ.

შპს „**NDC** მშენებლობა“-ს სამუშაოთა მწარმოებელ ცეზარ ქერქაძის თქმით, პროექტის ჯამური ღირებულება 840000 ლარს შეადგენს, აქედან მათ 550 000 ლარის სამუშაოები უნდა შეასრულონ. მშენებლობა შარშან დაიწყეს და 200 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები შეასრულეს. ერთ-ერთი მთავარი ობიექტი, რომლის მშენებლობაც უკვე დასრულდა, ეს 300 კბ. მეტრი მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარია. აქვე შენდება საქლორეტარო, რომელიც კურორტის დამსვენებლების გაფილტრული სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს.

პროექტის მიხედვით აღნიშნული წყალსადენის სათავე, კურორტიდან 7,3 კილომეტრის დაშორებით, ჭინჭაოს ტბის მიდამოებში იღებს სათავეს. იქ მოეწყობა წყლის სათავე-მიმღები ნაგებობა, საიდანაც 89 მმ-იანი მეტალის მილებით წყალს წყალშემკრები რეზერვუარი მიიღებს. მშენებლები ჯერ-ჯერობით ჭინჭაოს ტბის მიდამოებში სამუშაოებს ვერ იწყებენ, რადგან აღნიშნული ტბის მიდამოებთან, ხევში დიდი თოვლი დევს.

– ტრანსპორტით ჭინჭაოს ტბის მიდამოებში მისვლა ამჟამად შეუძლებელია. იქ დიდი თოვლი დევს. ფეხით გადავედით და პროექტით გათვალისწინებული სათავეს ადგილი მოვინახულეთ. ადგილობრივი მწყემსები გვეუბნებიან, რომ თოვლი 2-3 კვირაში დადნება და ტექნიკით მისვლა იქნება შესაძლებელი - გვითხრა ბრიგადირმა, სოფელ დვაბზუს მცხოვრებმა ვაჟა მახარაძემ.

ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია დაინტერესდა იყო თუ არა დასაქმებული მშენებლობაზე ადგილობრივი მუშახელი, რაზედაც დადებით პასუხი მიიღო.

–ჩვენ ჩამოყვანილ სპეციალისტებთან ერთად ადგილობრივი მუშახელიც გვყავს დასაქმებული. მათი ყოველთვიური ანაზღაურება 1000 ლარს შეადგენს- თქვეს მათ. მათვე აღნიშნეს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე მშენებლობის მიმდინარეობას ხშირად ეცნობა.

შარშან მშენებლებმა კურორტ გომისმთაზე 18 ოქტომბრამდე, თოვლის დადებამდე იმუშავეს. წელსაც აპირებენ ანალოგიურად მოიქცნენ. წელსვე დაიწყება დაქსელვის სამუშაოებიც.

ეს პირველი მასშტაბური პროექტია კურორტ გომისმთის ისტორიაში.

გურიაში მუსლიმმა თემმა რამადანის ბაირამის სადღესასწაული იზეიმეს



ალიონი. 25 ივნისს მუსლიმური სამყარო 30-დღიანი მარხვის შემდეგ ისლამის 2 დიდი დღესაწაულიდან ერთ-ერთი, რამადანის ბაირამის დღესაწაული აღნიშნა. სადღესაწაულო ლოცვა დაბა ნასაკირალის მჩეთში აღევლინა , რომელიც აქაურმა იმამმა შაქრო მეკეიძემ შეასრულა. ბაირამის საზეიმო ლოცვაზე არაერთი მლოცველი იყო ჩამოსული ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ქობულეთის, მარნეულის და სხვა მუნიციპალიტეტებიდან.

რამადანი მუსლიმთა კალენდრის მეცხრე თვეა. გადმოცემის თანახმად, ალაჰმა სწორედ ამ თვეში შთააგონა შუამავალ მუჰამედს შუამავლისა და მოციქულის მისია და ყურანის პირველი გამოცხადებაც მიმადლა. რამადანის მარხვა 26 მაისს დაიწყო და 25 ივნისს დასრულდა. დაბა ნასაკირალში რამადანის დღესასწაულს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე არჩილ ყაზაიშვილი დაესწრო და მუსულმანებს ბაირამის დღესასწაული მიულოცა.

გაზეთ „ალიონს“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტიდანაც შეეხმიანენ. როგორც ადგილობრივმა პედაგოგმა ნევრიზ მიქელაძემ გვაცნობა, სადღესაწაულო ლოცვა სოფელ ზოტის მჩეთშიც ჩატარდა. აქ საზეიმო ცერემონიალი იმამმა რეზო ტუნაძემ ჩაატარა.

მედიის შრომითი უფლებებისთვის

ალიონი. 28 ივლისს, ქ. თბილისში. „ქორთიანდ მერიოტში“ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებლემ ასოციაციამ და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციამ მედიის შრომითი უფლებების, სოლიდარობის, მედიაში პოლიტიკური გავლენების და მედიის ეკონომიკური სირთულეების შესახებ კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა საქართველოში ოლივერ მონი-კილმა.

კონფერენციაზე განიხილეს შრომითი სტანდარტები ქართულ მედიაში: მიღწევები, პრობლემები და ახალი გამოწვევები, ეფექტურ სოციალურ დიალოგში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მედია პროფკავშირების განვითარების საკითხები საქართველოში, მედიაში არსებული სოციალური და ფინანსური სირთულეები, რომლებიც აფერხებენ მედიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

იყო მსჯელობა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე მიმდინარე საკადრო საკითხებზე. საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად სოციალური დიალოგის გაუმჯობესების გზებზე.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ განცხადება მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ქ. ოზურგეთში დაიდგა 100 ცალი ნაგვის ახალი ურნა.

ვთხოვთ ქალაქის მოსახლეობას, მათი გამოყენებისას, დაიცვან შემდეგი წესი:

ურნაში ნაგვის განთავსების შემდეგ აუცილებლად დაახურონ ხუფი, რათა არ მიეცეთ ძაღლებს და სხვა ცხოველებს ურნის განთავსების ადგილის დანაგვიანების საშუალება.

* * *

ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ქუჩებზე, ბაღებსა და სკვერებში ასეულობით ძირი მარადმწვანე მცენარე, ერთწლიანი და მრავალწლიანი სხვადასხვა სახის ყვავილი დაირგო. ვთხოვთ მოსახლეობას, არ გაუშვან უმეთვალყურეოდ შინაური პირუტყვი, რათა არ მოხდეს ქალაქის მწვანე ნარგაობის დაზიანება.

ქალაქის ტერიტორიაზე უმეთვალყურეო პირუტყვის გაშვების შემთხვევაში გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ერთად მოვუაროთ ჩვენს ქალაქს!

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრი“

„შვიდკაცა“ 60 წლისაა

ბევრ ახალგაზრდას გაუჩინა სურვილი, გამხდარიყო „შვიდკაცას“ წევრი, მათ შორის გახლდით მეც – ტრისტან სიხარულიძე. ანსამბლის სცენაზე გამოსვლა დიდ სიამოვნებას მგვრიდა და ვნატრობდი, მეც ვყოფილიყავი „შვიდკაცას“ წევრი, რაც ძალიან ადრე ამიხდა: ბატონმა მიხეილმა მიმიწვია ანსამბლში.

შემდეგ და შემდეგ იწყება გასტროლები როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ასევე საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ფარგლებში:

1958 წელს, თბილისში მე-9 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატების მოპოვებისთვის ანსამბლი დაჯილდოვდა ოქროს მედლით;

1959 წელს ანსამბლმა გაიმარჯვა ვოკალური ანსამბლების რესპუბლიკურ კონკურსში;

1960 წელს „შვიდკაცა“ ერთი თვით გასტროლებზე მიემგზავრება ქალაქ მოსკოვში და გამოდის ქართული მელოდიების კონცერტებზე;

1961 წელს საქართველოს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე „შვიდკაცამ“ პირველი ადგილი აიღო;

1962 წელს „შვიდკაცა“ მიიწვიეს ლატვიაში;

1963 წელს ანსამბლი მიემგზავრება ქალაქ მოსკოვში – სასოფლო-სამეურნეო მიღწევათა გამოფენაზე და სრული ანშლაგით ატარებს კონცერტებს;

1964 წელს გასტროლებზეა ესტონეთში;

1965 წელს „შვიდკაცა“ მასპინძლობს დიდ ქართველ მსახიობს აკაკი ხორავას;

1967 წელს მონაწილეობს მოსკოვში გამართულ ქართული კულტურის დღეებში, საიდანაც ლაურეატის წოდებითა და ოქროს მედლებით ბრუნდება;

1968 წელს ქალაქ მოსკოვში, ისევ გამოფენაზე მართავს კონცერტებს და გამოფენის მედლით დაჯილდოება;

1970 წელს – იტალიაში, სიცილიასა და საფრანგეთში ჩატარდა ქართული კულტურის დღეები, ხალხური ანსამბლებიდან შეირჩა ოზურგეთის ანსამბლი „შვიდკაცა“;

1971 წელს ანსამბლი საკავშირო ფესტივალის ოქროს პრიზის მფლობელი გახდა;

1972 წელს საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები გაიმართა ინგლისსა და შოტლანდიაში, კონცერტები 22 ქალაქში შედგა. მუსიკათმცოდნეები წერდნენ: „გაგვაოცეს ქართველებმა, მღეროდა 10 კაცი და გეგონებოდათ, 100 კაცი მღერისო“;

1975 წელს „შვიდკაცა“ მოსკოვში გამართული კულტურის დღეებში მონაწილეობისათვის კვლავ ოქროს მედალს იმსახურებს;

1977 წელს ანსამბლი მონაწილეობს საკავშირო ფესტივალში ქალაქ ბაქოში და ჯილდოვდება ოქროს მედლით;

1979 წელს „შვიდკაცა“, ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად (ხელმძღვანელი ვახტანგ მეგრელაძე), მიემგზავრება ესპანეთში, ხალხური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალზე;

1981 წელს ხალხური სიმღერების აღდგენის და შენარჩუნების, მისი პოპულარიზაციის საქმეში გაწეული დიდი ღვაწლისთვის ანსამბლ „შვიდკაცას“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება, ხელმძღვანელ მიხეილ შავიშვილს კი – საქართველოს სახალხო არტისტის წოდება;

1982 წელს „შვიდკაცას“ იწვევენ მოსკოვში, ცენტრალურ ტელევიზიაში - საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის საზეიმო კონცერტში მონაწილეობის მისაღებად;

1985 წელს „შვიდკაცა“, ზემოხსენებულ ქორეოგრაფიულ ჯგუფთან ერთად მიემგზავრება ფესტივალზე ჰოლანდიაში;

1987 წელს ანსამბლს გადაუხადეს დაარსებიდან 30 წლისთავი. იუბილეს ესწრებოდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დიდი დასი. თეატრის სახელით ანსამბლს მიესალმნენ: ჯანსუღ კახიძე, დიდიმ მირცხულავა, მედეა ამირანაშვილი, ზურაბ ანჯაფარიძე, ალექსანდრე გეწაძე, ზაურ ლომინაძე, ლამარა ჭყონია, ალექსანდრე ხომერიკი, ნათელა მკერვალიძე, რობერტ ბარძიმაშვილი, ჯემალ მდივანი, გურამ მელივა და მაია თომაძე.

„შვიდკაცა“ ხშირად მონაწილეობდა „თბილისობის“ დღესასწაულზე.

ანსამბლ „შვიდკაცას“ პირველი თაობის მომღერლებიდან, სამწუხაროდ, უმეტესობა აღარ არის ცოცხალი. მათ დიდი წვლილი შეიტანეს ანსამბლის განმტკიცებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ამ ხალხმა მისცა ანსამბლის შემდეგ თაობებს მაგალითი სიმღერის სიყვარულისა, მეგობრობისა და უკეთესი მომავლისა. ჩვენ, შემდგომი თაობის წარმომადგენლები ქედს ვიხრით მათ წინაშე. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ანსამბლის აწ გარდაცვლილი წევრები: მიხეილ შავიშვილი, ამირან ბაბილოძე, აკაკი ბეშიტაიშვილი, ზაურ ბოლქვაძე, ნოდარ ქარცივაძე, ვალერიან ქავთარაძე, ანტონ თავამაიშვილი, გური ურუშაძე, ალექსანდრე გოგავა, ვაჟა რუსიეშვილი, თეიმურაზ ქილიფთარი, ილია ჯინჭარაძე, გელა ცელაძე, სერგო ქარჩილაძე, თეიმურაზ გადახბაძე, ავთანდილ ნაცვალაძე, შოთა დოლიძე, ჰამლეტ დოლიძე, ნევრო ოსეფაშვილი, ანზორ ტუღუში, ზაურ ჯანიაშვილი.

ამ ხალხის დაუღალავი შრომის შედეგად მოტანილ დიდებასა და ღირსებას შეძლებისდაგვარად ვუფრთხილდებით და ვცდილობთ, შევინარჩუნოთ „შვიდკაცას“ ახლანდელი თაობა.

მადლობა მინდა ვუთხრა ანსამბლის უხუცეს წევრს ბადრი ინგოროყვას, რომელიც, ავადმყოფობის გამო, ჯერჯერობით ვერ მონაწილეობს ანსამბლის ამჟამინდელ საქმიანობაში. მისი მოღვაწეობა ნამდვილად დასაფასებელია.

„შვიდკაცაში“ სხვადასხვა დროს მღეროდნენ: გივი ქუტიძე, მერაბ მგელაძე, კობა მელუა, თემურ ნინიძე, ზურაბ ერქომაიშვილი, გიორგი გოლიაძე, მიხეილ ჩხაიძე, დავით ჩხარტიშვილი, ლევან გოლიაძე, ზაზა მამალაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ლევან გუჯაბიძე.



ანსამბლ „შვიდკაცას“ შემადგენლობა დღეს ასე გამოიყურება: ტრისტან სიხარულიძე (სამხატვრო ხელმძღვანელი), ამირან გოლიაძე (დამსახურებული არტისტი, ლოტბარი), რეზო მახარაძე (კრიმანჭული), ილია ინწკირველი (ბანი), ლევან ნინიძე (სოლისტი), გელა ლომჯარია (მეორე ხმა), დათო ქავჯარაძე (მეორე ხმა), თენგიზ გოლიაძე (ბანი), კობა მეფარიშვილი (ბანი), ვალერი კალანდაძე (ბანი), ალექსანდრე ბურჭულაძე (კრიმანჭული და პირველი ხმა), ნიკოლოზ გოგოტიშვილი (კრიმანჭული, პირველი ხმა).

„შვიდკაცას“ გამოცემული აქვს 1 ალბომი

ანსამბლი გაერთიანებულია ქალაქ ოზურგეთის მოსწავლე ახალგაზრდობის და კულტურის ცენტრის შემადგენლობაში, რომელსაც კობა ბანძელაძე ხელმძღვანელობს.

ტრისტან სიხარულიძე,
ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ლოტბარი, ხალხური სიმღერის მოამაგე, ხელოვნების ქურუმი, ღირსების ორდენოსანი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

***რედაქციისაგან:** გაზეთი „ალიონი“ ულოცავს შეუდარებელ „შვიდკაცას“ ღირსშესანიშნავ, საიუბილეო თარიღს, დაარსებიდან 60 წლისთავს! ეს ის სახალხო ანსამბლია, რომლის რეპერტუარში სულ სხვა ხიბლი აქვს ქართულ ხალხურ სიმღერებს, რომელმაც თავისი მრავალმხრივ საინტერესო და ხანგრძლივი შემოქმედებით შორს გაუთქვა სახელი ეროვნული კულტურის თვალისჩინივით მოსავლელ საგანძურს ქართულ ხალხურ სიმღერას.*

ვულოცავთ სასიქადულო ანსამბლსა და მის თითოეულ წევრს დიდ იუბილეს, ვუსურვებთ ახალ-ახალი წარმატებებით არაერთგზის გაეხარებინოს მაღალგემოვნებიანი მსმენელი.

აქვე ვიტყვით, რომ ახლოვდება მეორე არანაკლებ სასიხარულო საიუბილეო თარიღი, აგვისტოში ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს ტრისტან სიხარულიძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. „ალიონი“ უკვე მომავალ იუბილარზე საგაზეთო პუბლიკაციის სამზადისშია.

კამპანია „კაცები პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობისათვის“

პროექტის „თანასწორობა იგებს“ ფარგლებში

29 ივნისს, ოზურგეთის “დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ ორგანიზებით იმსჯელეს პოლიტიკურ პროცესებში ქალთამონაწილეობის მნიშვნელობაზე.

„კაცებიპოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობისათვის“ - კამპანია მიზნად ისახავს მამაკაცებმა მოახდინოს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის იდეის პოპულარიზაცია და მხარი დაუჭირონ ქალ კანდიდატებს.

ღონისძიების მომხსენებლებმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელმა თამაზ ტრაპაიძემ და ოზურგეთის გენდერის მედიაცენტრის წარმომადგენელმა გიორგი ელიაძემ ისაუბრეს თუ რატომ გვჭირდება ქალები პოლიტიკაში.

„დროა დავივიწყოთ ფრაზა „ქალის ადგილი საშზარეულოშია“, რადგან საჭიროზე მეტი ფაქტი ადასტურებს ქალთა ეფექტურ და პროფესიონალურ მოღვაწეობას პოლიტიკაში. საქართველოში ქალთა რესურსი სრულად არ არის გამოყენებული. არადა, აქ ძალიან დიდი პოტენციალია, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის სასიკეთო იქნება.“ - აღნიშნა შეხვედრაზე თამაზ ტრაპაიძემ.

რატომ არ არის ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით ამჟამად საქართველოში არსებული ვითარება დამაკმაყოფილებელი? - ამ საკითხზე ისაუბრა გიორგი ელიაძემ და დამსწრე საზოგადოებას სტატისტიკური მონაცემები გააცნო.

“12 ქალაქის მერიდან არც ერთი არ არის ქალი; 59 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ ერთს ხელმძღვანელობს ქალი გამგებელი, თბილისის 10 რაიონიდან კი მხოლოდ დიდუბეშია გამგებელი ქალი. საკრებულოების შემადგენლობის მხოლოდ 11%-ია ქალი (2154 წევრიდან 246). ქალების 30-40%-იანი წარმომადგენლობა განიხილება იმ “კრიტიკულ უმცირესობად“, რაც საჭიროა, რათა ქალებმა არსებითი ცვლილება შეიტანონ პოლიტიკურ პროცესებში.“ - თქვა გიორგი ელიაძემ.

შეხვედრას ესწრებოდნენ პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიის და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები. კამპანია იმართება პროექტის „თანასწორობა იგებს“ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისათვის“ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

„ვაი „phone“-ის თაობა“ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

„მოკლედ, საქართველოში სანამ მშობელი გყავს, თავისუფალი ვერ იქნები“ – ეს სიტყვები რამდენიმე დღის წინ ქალაქ ოზურგეთში გამაგონეს, თანაც იცით, სად? მეორე საჯარო სკოლის ეზოს ჭიშკართან ახლოს. მეგონა, თავში კეტი ჩამარტყეს. მოვბრუნდი და ვახო ჩხარტიშვილის ღიმილიან მზერას წავაწყდი: ბატონო თემურ, რეპეტიციას გავდივართო და სტუდია „**junior**“-ის (სტუდიის ხელმძღვანელი ნინო ჯიჯიეშვილი) მომავალ სპექტაკლზე დამპატიჟა.

რაც ორი დღის შემდეგ, ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ვნახე, იმას ალბათ სასწაული ჰქვია და ეს სასწაული, ჩემი აზრით, ყველამ უნდა ნახოს თუ მომავალი თაობის მომავალზე ვზრუნავთ. საუბარია სპექტაკლზე „ვაი „**phone**-ის თაობა“, ერთმოქმედებიან პიესაზე. სცენარის ავტორმა მაია ღლონტმა დაამტკიცა, რომ დრამატურგიაშიც არ ჰყავს ბადალი, ისევე, როგორც პოეზიაში.

რაც შეეხება რეჟისურას, ზუსტად ვერ გეტყვით, ეს ვახტანგ ჩხარტიშვილის მერამდენე ნამუშევარია, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ მისი სახით ოზურგეთს მეტად ნიჭიერი, განსხვავებული ხედვის რეჟისორი ეზრდება.

რა კარგად ნათქვამია „ხორუმი ქართული ცეკვაა!“ როგორ კარგად მიერგო ხორუმი სპექტაკლს. ქორეოგრაფ ქეთი ზაქარიაძის ხელში იგი უქართულესი მეჩვენა.

და ბოლოს, დაიმახსოვრეთ ზემოთ ნახსენები სასწაულის მომხდენი ეს ბავშვები – მარი მელაძე, ლუკა დანელია, ელენე ნიკოლაშვილი, მარი მიქაუძე, მარი ბერებიშვილი, სანდრო მოსეშვილი, ნინი გადახაბაძე, შორენა სიხარულიძე, ნათია გორდელაძე, ნათია ვასაძე, მარია მამინაშვილი, მარი ბურკაძე, იაკო გელაშვილი, აზა მეფარიშვილი, ელენე ჩავლეშვილი. და იცით რატომ? ისინი ასეთ სასწაულებს კიდევ მოახდენენ.

თემურ მარშანიშვილი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

აცხადებს საჯარო აუქციონს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე

#	დასახელება	მდებარეობა	ხაკადასტრო კოდი	მინ. შენობის ფართი კვ.მ	მიწის ნაკვეთის ფართი	აუდიტის შეფასება (ლარებში)	„ბე" ლარი 50%"	ბიჯი (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთი (ლარი)	აუდიტის თანხის დანამატი	საპრივატიზებო ხაფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკეთი	ქალაქი ოზურგეთი ალ.ყაზბეგის ქუჩა	26.26.52.015		360.00 კვ.მ	1080.00	577	115,4	50	74	1154	საჯარო აუქციონი
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკეთი	ქალაქი ოზურგეთი ე.ნინოშვილის ქუჩა №2	26.26.54.061		664.00 კვ.მ	9960.00	5017	1003,4	50	74	10034	საჯარო აუქციონი
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკეთი	ქალაქი ოზურგეთი მ.კოსტავას ქუჩა №115	26.26.35.086		214.00 კვ.მ	2568	1314	262.8	50	60	2628	საჯარო აუქციონი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):

* გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
* შეძენილი ქონების ღირებულების სრულად დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
* აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია
* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800
* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.
* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 3 ივლისიდან 2017 წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათამდე"
* აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 1 აგვისტოს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.
* "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: 595 22-08-26, 574 77- 74- 77"

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

აცხადებს განმეორებით საჯარო აუქციონს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე

#	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე" (ლარი) 50 %	„ბიჯი" (ლარი) 10 %	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული შენობა-ნაგებობა	ქ.ოზურგეთი, გურამიშვილის ქუჩა N4	26.26.04.005	8065	N1, N2, N3, N4, N5, N6	85	13750,6	50	137506	საჯარო აუქციონი
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი, კ.მეგრელიძის ქუჩა	26.26.35.085	3932		2957	591,3	50	5913	საჯარო აუქციონი
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ.ოზურგეთი, 26 მაისის ქუჩა N5-ის მიმდებარედ	26.26.47.247	358		2692	538.4	50	5384	საჯარო აუქციონი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2 „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):

* გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
* შეძენილი ქონების ღირებულების სრულად დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
*უქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილ ბრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია
* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800
* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.
* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 3 ივლისიდან 2017 წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათამდე"
* აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 1 აგვისტოს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.
* "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი საუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: 595 22-08-26, 574 77- 74- 77"

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

აცხადებს საჯარო აუქციონს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე (სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების)

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	ძირ. შენობის ფართი	მიწის ნაკვეთის ფართი	აუდიტის შეფასება (ლარებში)	„ბე" ლარი 50%	ბიჯი (ლარი) 10%	მონაწილეობის ბილეთი (ლარი)	აუდიტის თანხის დანამატი	საწყისი საპრივატიზებო საფასური	აუქციონის ფორმა
1	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი სულხან-საბა ორბელიანის	26.26.35.099		805.00 კვ.მ	1207.50	640.75	128.15	50	74	1281,5	საჯარო აუქციონი
2	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ოზურგეთი ჟორჟოლიანის ქუჩა	26.26.54.065		2416.00 კვ.მ	2416	1244.5	248.9	50	73	2489	საჯარო აუქციონი

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
2. „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
5. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში):

* გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
* შეძენილი ქონების ღირებულების სრულად დაფარვა უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში
* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული ფიზიკური ან იურიდიული პირი
* „ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე, ხაზინის ერთიანი ანგარიში სახაზინო კოდი: 300898800
* დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილ „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"-ში მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.
* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2017 წლის 3 ივლისიდან 2017 წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათამდე"
* **აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 1 აგვისტოს 14.00 სთ-ზე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში.**
* "ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის სხდომის "
ტელ: 595 22-08-26, 574 77- 74- 77"

სულთათანა

ლამარა ქავჟარაძის გახსენება

მიჭირს შენს მოგონებაზე ფიქრიც კი, მაგრამ განგებამ ასე ისურვა. არ ვიცი, საიდან დავიწყო, ჩემო დაიკო, ბიძაშვილო, ჩემთვის ძვირფასო ადამიანო. შენ ჩემთვის დედის მაგიერი იყავი. შენში ჩემთვის 57 წელი ცოცხლობდა დედაჩემი. ამდენი წელი ვხედავდი და ვგრძნობდი მას შენში. წახვედი და წაიღე ეს დიდი სიყვარული სამუდამოდ.

მახსოვს, ჩემო ლამარა, მე და შენ ბოლო წამოვედით, დედა რომ დაასაფლავეს. რომ გარდაიცვალა, იმ ღამეს ერთად ვიწექით და ვტიროდით, მე — 7 წლის ბიჭი და შენ კი უკვე დიდი ქალი იყავი ჩემთან შედარებით. იმ დღიდან სულ ჩემი იმედი იყავი. კიდეც გამიმართლე ეს დიდი იმედი. მთელი ცხოვრება გვერდით მედექი. როცა შვილები შემეძინა, მათ შენ შეეხე პირველად, ორივე შენი აყვანილია. შენ ვაჟკაცი ქალი იყავი, თბილი, მოსიყვარულე, მზრუნველი ყველასა და ყველაფერზე. შენ არ იცოდი, რა იყო დასვენება, ნეტა ახლა თუ ისვენებ მაქ, ალბათ - არა. შენი ორმოცის წინა დღეს შენს სახლში შევიარე, მარინასთან და მითხრა, დამესიზმრაო, მაგიდასთან იდგაო. წუხარ, ალბათ, შენი შვილები უშენოდ თუ გაუმასპინძლდებიან სტუმრებს. დარდი ნუ გექნება, შენ ისინი ისე აღზარდე, ნებისმიერ სიძნელეს დაძლევენ არამცთუ შენი ორმოცის მაგიდას.

ლამარა, შენ ძალიან ბევრმა ადამიანმა დაგაფასა. ერთი კვირა უამრავი ადამიანი მოვიდა შენთან გამოსამშვიდობებლად. ვიცოდი, ძლიერ კეთილი რომ იყავი, მაგრამ ამდენი თუ მოასწარი, ეს მე არ შემიმჩნევია. ახლა კი ნათლად ვხედავ ყველაფერ ამას. ხომ იცი, ადამიანი ამ ქვეყნიდან რომ წავა, შემდეგ ჩანს მისი ნამოღვაწარი.

— ვინ იყავი შენ ლამარა ქავჟარაძე?

— მზრუნველი დედა, კარგი მეუღლე, კარგი ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, დედმა-მიშვილი, მეზობელი, თანასოფლელი, მოკლედ, ერთი კარგი ქართველი ქალი, რომელიც ამ ორმოცი დღის წინ გადასახლდა მარადისობაში.

დიდი მადლობა შენ ყოველივე ამისათვის! იძინე მშვიდად.

შენი
ოქრია ჩეჩილი.

მეუღლე რომან რატიანი, შვილები ნინო, ლელა, რუსუდანი, და-ძმა ლიდა და ბორის ხელაძეები, რძალი ეკა კვიატკოვსკი, შვილიშვილები რომა, ანი, ელენე, მარიამი, გიორგი, ნიკოლოზი, სიძეები კახა მეხრიშვილი, კახაბერ ტულუში, დავით მარშანიშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ნანული რუბენის ასული ხელაძე-რატიანის** გარდაცვალებას.

პანაშვილი — 3 ივლისს,
დაკრძალვა - სამშაბათს, 4 ივლისს, 16 საათზე.
მის: ოზურგეთი, ნემიროვიჩ-დანჩენკოს 10-ა.

გაზეთ „ალიონის" რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალისტ რუსუდან რატიანს, დედის **ნანული რუბენის ასული ხელაძე — რატიანის** გარდაცვალების გამო

უფასო განცხადება ტალონი

90 ბეჭდვითი ნიშანი უფასოდ!

ძვირფასო მკითხველო, გაზეთი „ალიონი" გთავაზობთ სერვისს „უფასო განცხადების ტალონი", რომლის მოცულობა შეადგენს 90 ბეჭდვით ნიშანს და იგი თქვენი საჩუქარია.

90 ბეჭდვით ნიშანზე გადაცილებული ყოველი სიტყვისათვის გადასახდელი გექნებათ მხოლოდ 25 თეთრი.

გაზეთიდან ამოჭრილი და შევსებული ტალონი შეგიძლიათ წარმოადგინოთ რედაქციაში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში.

უფასო განცხადების ტალონი ბეჭდვით მედიასაშუალებებში საქმიანი განცხადებების გამოქვეყნების ყველაზე იაფი საშუალება.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ეს ნამუშევრები ნებისმიერ ევროპულ საგამოფენო დარბაზს დაამშვენებდა

24 ივნისს საქართველოს კულტურის ფონდის გურიის ფილიალმა, გურიის რეგიონის მხატვართა შემოქმედებითმა კავშირმა და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრმა სახვითი ხელოვნების მოყვარულები მხატვარ-გრაფიკოს თენგიზ (თენგო) დარჩიას პერსონალურ გამოფენაზე მიიწვია. თენგო დარჩიას გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს დამთვალიერებელს შესაძლებლობა მიეცა, გაცნობოდა მხატვრის 400-მდე ნამუშევარს. გამოფენა მეტად რეზონანსული და ემოციური გამოდგა.

სპეციალისტთა თქმით, თენგო დარჩიას ნამუშევრები ნებისმიერ ევროპულ საგამოფენო დარბაზს დაამშვენებდა.

თენგო დარჩიას გამოფენაზე

არ გიცნობდი და მაინც
გთხოვ, მაპატიე თენგო!
დღეიდან შენზე სათქმელს
ვერა ვერავის ვერ ვნდობ.

ცოცხალს ტაში არ გაღირსეს,
გარდაცვლილს დაფნა გერგო.
ვაი, რა სენი დაგვჩემდა?!
შენდობასა ვთხოვ შემნდობს.

აქ, ამ თეთრ გალერეაში
შენი მუზები ვერძობს,
ზედმეტად მორიდებული,
თითქოსდა, ლაღად ვერ ძოვს.

ყოჩარ, ბიჭებო, ყოჩაღ,
ჩემო თამაზ და ავთო,
„ჩუმ ლიდერს“ რუდუნებით
გზა რომ მიეცით ფართო.

გალერეაში წყნარი
ახლა ქაღალდზე ვდელგმობ:
ეს რა ძალა აქვს წერტილს,
მხოლოდ შენს ხელში თენგო!

იყო ცრემლი და ტაში...
ჰო, ეცოტავა ბევრს დრო.
არა მგონია, ლექსში
შენი ჩატევა შევძლო,

ხოტბა ეკუთვნით კაცებს —
ჩემს ავთოსა და თამაზს,
ასე რომ ამზეურებენ
დიდოსტატების თამაშს.

ცოცხალს ტაში არ გაღირსეს,
გარდაცვლილს დაფნა გერგო.
შენ უკვდავების სანთელი
აგინთეს, უნდა გენთოს!

თემურ მარშანიშვილი

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა,
მისამართი:
26 მაისის ქ.№ 11ა.

იუბილარი

როზა გოგუაძე 75 წლისაა!

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ქალბატონი როზა იუბილარია — მის უკან სამაგალითოდ და სახელოვნად განვლილი 75 წელია.

ქალბატონი როზა ოზურგეთის რჩეული საზოგადოების მართლაც ყველა ადამიანური ღირსებით შემკული წარმომადგენელია. საზოგადოებრივი საქმიანობის დაწყებიდან მის მიერ სახელოვნად განვლილი გზა მისაბაძია და მისაბაძი იქნება თაობებისათვის.

წლები ვერას აკლებენ მის ამოუწურავ ენერგიას. ქალბატონი როზა, როგორც თავისი საქმის დიდი პროფესიონალი„ ჩვეული შემართებით, დიდი პასუხისმგებლობით, დაუღალავად განაგრძობს მოღვაწეობას. არ გვიკვირს, რომ მისი ასპარეზი მხოლოდ პროფკავშირი არ არის. იგი ყოველთვის იქაა, სადაც საზოგადოებას ყველაზე მეტად სჭირდება, ამშვენებს დაალამაზებს ჩვენს საზოგადოებას. სწორედ ასეთ ადამიანებს ხელეწიფებათ საკუთარი მაგალითით სხვებს მისცეს ეს... ელმწიფოებრივ მისიებს გაცოლებული საქმეების კეთება.

მადლობას გიხდით, გაწეული ამაგისთვის და საუკეთესო სურვილებით იუბილეს გილოცავთ ქალბატონო, როზა! გპირდებით, როცა 100 წლის გახდებით, გაცილებით უკეთეს მილოცვას „გამოგიცხობთ“ და დაგაგემოვნებინებთ, ჩვენო საამაყო და ჩვენზე მოამაგე დიდო პიროვნებავ!

შენი მეგობრები.

სპორტი

ბახველ ფეხბურთელთა მორიგი წარმატება მეგობრობის თასზე

ბახვის ბავშვთა საფეხბურთო გუნდმა მორიგ წარმატებას მიაღწია ქალაქ თბილისში 21-27 ივნისს მეგობრობის თასისზე გამართულ რესპუბლიკურ ტურნირში, რომელშიც დედაქალაქის გუნდებთან („VINERS-1, `VINERS-2 და სხვ.) მონაწილეობდნენ სოხუმის „ცხუმისა“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბახვისა და ნატანების გუნდები, სულ 8 გუნდი.

ორ ქვეჯგუფად დაყოფილი გუნდებიდან გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. პირველ ნახევარფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მასპინძლები VINERS-1 და „VINERS-2. ეს მატჩი VINERS-1-ის გამარჯვებით დასრულდა. მეორე ნახევარფინალური მატჩში ბახველთა გუნდმა დამაჯერებლად დაამარცხა „სოხუმის „ცხუმი“.

უშეღავათო გამოდგა ფინალური მატჩი VINERS-1-ისა და ბახვის გუნდის მონაწილეობით, რომელშიც საბოლოოდ მასპინძლებმა იმარჯვეს.

ტურნირის დახურვის ცერემონიალზე ბიზნესმენმა გოგიტა ცეცხლაძემ (ბატონი ზვიად ცეცხლაძის ვაჟი) 10 ცალი ბურთით დააჯილდოვა მშობლიური სოფლის გუნდი.

ბახველთა გუნდში ასპარეზობდნენ ლაითურელი, ჯუმათელი, სილაურელი, თხინვალელი, დვაბზუელი, ბოხვაურელი, ძიმითელი, ასკანელი, ცხემლისხიდელი, ქვედა ბახველი და ბახველი ფეხბურთელები.

ნორჩი ფეხბურთელებს გადაეცათ თასი და შესაბამისი ხარისხის სიგელები.

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ თავკაცი ავთანდილ სირბილაშვილი და ამავე ა(ა)იპ-ის სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი გოჩა კრასოტკინი მადლობას უხდიან მასპინძლებს VINERS-1-ის ხელმძღანელობას ტურნირში ოზურგეთელ ფეხბურთელთა მიწვევისა და ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

7 დღის ამინდის პროგნოზი

3 ივლისი ორშაბათი	4 ივლისი სამშაბათი	5 ივლისი ოთხშაბათი	6 ივლისი ხუთშაბათი	7 ივლისი პარასკევი	8 ივლისი შაბათი	9 ივლისი კვირა
მზე, ღრუბელი +24+33	მზე +20+33	მზე ღრუბელი 20+24	მზე ღრუბელი 19+24	მცირე წვიმა +16+20	მზე ღრუბელი +16+20	მზე ღრუბელი +16+21